დამიწების კონტურების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N01

ქ. თბილისი ,,23" აგვისტო, 2022 წელი

ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დიმიტრი დიკგაუტი.

სატენდერო კომისიის წევრები: გელა კულუმბეგაშვილი, ლევანი ბაკაშვილი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: დავით გუგუჩია, ქეთევან მეხუზლა.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება

- სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციის პროექტზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტით განსაზღვრულ პირობებზე.
- სატენდერო კომისიამ განიხილა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის საკითხი. აღინიშნა, რომ შპს ,,საქაერონავიგაციის" ელექტრო სამსახურმა შესყიდვის მომზადების პროცედურების ფარგლებში ჩაატარა ბაზრის კვლევა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართა ორ კომპანიას. ბაზრის კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განთავსდა აგრეთვე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზეც. ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო და ინვოისი გადმოაგზავნა ორივე კომპანიამ. ბაზრის კვლევის შედეგად აღნიშნული კომპანიების მიერ შემოთავაზებული ფასებია: 76 406 ლარი დღგ-ს გარეშე და 67 793 ლარი დღგ-ს გარეშე (ინვოისების მოქმედების ვადაა 1 თვე). სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა ბაზრის კვლევაში

მონაწილე კომპანიის მიერ შემოთავაზებული უმცირესი ფასი 67 793 ლარი დღგ-ს გარეშე.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს დამიწების კონტურების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სახით (,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-15 მუხლი).
2. შესყიდვის ობიექტის სავარუდო ღირებულება განისაზღვროს 67 793 ლარით (დღგ-ს გარეშე).
3. ტენდერი გამოცხადდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე Dimitri Dickhaut Digitally signed by Dimitri Dickhaut Date: 2022.08.23 16:27:37 +04'00' დიმიტრი დიკგაუტი

სატენდერო კომისიის წევრები Gela Kulumbegashvili Digitally signed by Gela Kulumbegashvili Date: 2022.08.23 16:30:54 +04'00' გელა კულუმბეგაშვილი

Levani Bakashvili Digitally signed by Levani Bakashvili DN: cn=Levani Bakashvili, serialNumber=PNOGE-01019057552, givenName=Levani, sn=Bakashvili, o=Citizen, c=GE Date: 2022.08.23 17:07:34 +04'00' ლევანი ბაკაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები David Guguchia Digitally signed by David Guguchia Date: 2022.08.23 16:31:53 +04'00' დავით გუგუჩია

ქეთევან მეხუზლა

Ketevan Mekhuzla Digitally signed by Ketevan Mekhuzla Date: 2022.08.23 22:03:37